

# სადიაგნოსტიკო ტესტი მათემატიკაში

მოსწავლე \_\_\_\_\_

კლასი: \_\_\_\_\_

1. როგორ შეიცვლება  $3,07$ -ის მნიშვნელობა, თუ მის ჩანაწერში მძიმის წინ,  $3$ -იანსა და მძიმეს შორის,  $0$ -ს ჩავწერთ?

ა) გაიზრდება  $10$ -ჯერ

გ) გაიზრდება  $100$ -ჯერ

ბ) არ შეიცვლება

დ) გაიზრდება  $27$ -ით

2.  $3(4a + 2)$  გამოსახულებაში ფრჩხილების გახსნით მიიღება:


ა)  $12a + 6$

გ)  $4a + 6$

ბ)  $12a + 2$

დ)  $18a$

3. წინომ გადაწყვიტა, კიბის თითოეულ საფეხურს დააწეროს რიცხვი, რომელიც კიბეზე ამსვლელს მიანიშნებს, თუ რა სიმაღლეზე იმყოფება ის იატაკიდან.



რა რიცხვი უნდა დააწეროს წინომ კიბის ბოლო საფეხურს, თუ მეხუთე საფეხურს უკვე აწერია  $10$ ?

ამოხსნა ჩაწერე აქ:

პასუხი: \_\_\_\_\_

4. თუკი ათწილადში 251,16 მეათედის აღმნიშვნელ ციფრს გავზრდით 2-ით, მივიღებთ რიცხვს:

ა) 251,18 გ) 253,16

ბ) 251,36 დ) 271,16

5. რომელია  $\frac{5}{7} \cdot 1\frac{3}{25}$  ნამრავლის მნიშვნელობა?

ა)  $\frac{8}{35}$  ბ)  $\frac{4}{5}$  გ)  $1\frac{3}{35}$  დ)  $\frac{3}{35}$

6. რომელია  $3,55 - 2,8$  სხვაობის მნიშვნელობა?

ა) 1,47 გ) 0,75

ბ) 3,27 დ) 7,5

7. ცხრილში მოცემულია შესაბამისობა  $a$  და  $b$  სიდიდეებს შორის: ყოველ  $a$  რიცხვს შეესაბამება მისივე ციფრთა ჯამი.


$a$	6,09	71,6
$b$	15	

რომელი რიცხვი უნდა ეწეროს ცხრილის ცარიელ უჯრედში?

ა) 7 გ) 8

ბ) 14 დ) 16

8. ოთხი მეგობრიდან ერთის სიმაღლეა 1,15 მ, მეორის  $-1,4$  მ, მესამის  $-1,09$  მ, მეოთხისა კი  $-1,38$  მ. თითოეული მათგანის გამოსახულებას დააწერე შესაბამისი სიმაღლე.



9. მოცემულია რიცხვი 31,578. რომელ თანრიგშია 7-იანი?

ა) ათეულების

გ) მათედეების

ბ) ასეულების

დ) მესედეების

10. გორგიმ პერანგსა და ფეხსაცმელში სულ გადაიხადა 55 ლარი. ფეხსაცმელი 39,95 ლარი ღირდა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი განტოლება შეიძლება გამოვიყენოთ პერანგის  $t$  ფასის გასარკვევად?

ა)  $t + 39,95 = 55$

გ)  $t + 55,00 = 39,95$

ბ)  $t - 39,95 = 55$

დ)  $t - 55,00 = 39,95$

11. რომელია  $\frac{5}{18} : \frac{2}{15}$  განაყოფის მნიშვნელობა?

ა)  $\frac{1}{27}$

გ)  $2\frac{1}{12}$

ბ)  $\frac{12}{25}$

დ) 27


12. ნახაზზე მოცემულია სამკუთხა პრიზმა. მას 9 წიბო აქვს. პრიზმა, რომელსაც 12 წიბო აქვს, არის:

ა) სამკუთხა;

ბ) ოთხკუთხა;

გ) ექვსკუთხა ;

დ) რვაკუთხა.



13. შემდეგთაგან რომელია მართებული უტოლობა?


ა)  $3,7 < 3,18$

გ)  $7,08 > 7,023$

ბ)  $0,08 > 0,12$


დ)  $6,04 < 4,06$

14. მოცემული რიცხვითი სხივი დაყოფილია ტოლ შუალედებად. რომელ ასოს შეესაბამება რიცხვი 3,8 ?



პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

15. კვადრატული ფორმის მქონე ფურცლიდან ისე ამოჭრეს ტოლი კვადრატები, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები.



ერთი პატარა კვადრატის ფართობია  $2 \text{ სმ}^2$ . ფურცლის დარჩენილი ნაწილის ფართობია:

ამოხსნა ჩაწერე აქ:

პასუხი: \_\_\_\_\_

16. რიცხვის 0,01–ზე გამრავლება იგივეა, რაც:

ა) 10–ზე გამრავლება

გ) 10–ზე გაყოფა

ბ) 100–ზე გამრავლება

დ) 100–ზე გაყოფა

17. მართკუთხედის გვერდების სიგრძეებია 2,1 სმ და 3 სმ. გამოთვალე მისი ფართობი.

ა) 5,1 სმ<sup>2</sup>

გ) 6,3 სმ<sup>2</sup>

ბ) 10,2 სმ<sup>2</sup>

დ) 25,2 სმ<sup>2</sup>

18. რომელი ათწილადია  $\frac{9902}{1000}$  წილადის ტოლი?

ა) 9,902

გ) 990,2

ბ) 99,02

დ) 0,9902

19. შემდეგთაგან რომელი ათწილადია ყველაზე ახლოს  $\frac{1}{9}$ -თან?

ა) 0,019

გ) 0,9

ბ) 0,09

დ) 0,19

20. ქვემოთ ჩამოთვლილია მე-6 კლასის მოსწავლეების მიერ მათემატიკის ტესტირებაში დაგროვილი ქულები:

41; 29; 41; 45; 30; 45; 37; 38; 37; 36; 37; 43; 45; 56; 53; 43; 32; 38; 47; 51.

რამდენია სხვაობა უდიდესსა და უმცირეს შედეგს ქულებს შორის?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

21. ერთი რიცხვი  $1\frac{1}{8}$ -ით მეტია მეორე რიცხვზე. ამ რიცხვების ჯამი  $6\frac{5}{12}$ -ის ტოლია. შეადგინე გამოსახულება პირველი რიცხვის საპოვნელად და იპოვე ეს რიცხვი.





ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი: \_\_\_\_\_


22. მასწავლებელი კლასში აკვირდებოდა მოსწავლეებს, რათა მათი საყვარელი ფერი გაერკვია. შედეგი ასეთი იყო:

ფერი	მოსწავლეების რაოდენობა
ლურჯი	10
მწვანე	5
ყავისფერი	2
ყვითელი	4
სხვა	4

რომელ დიაგრამაზეა ასახული ეს მონაცემები?



23. იპოვეთ გაფერადებული ფიგურის ფართობი, თუ ყოველი კვადრატის ფართობი  $1\text{სმ}^2$ -ია.



ა)  $15\text{სმ}^2$

გ)  $13\text{სმ}^2$

ბ)  $14\text{სმ}^2$

დ)  $12\text{სმ}^2$

24. რომელი ცხრილი გვიჩვენებს  $x$  და  $y$  სიდიდეებს შორის შემდეგ დამოკიდებულებას :

$$y = x + 4$$

ა)

$x$	$y$
0	0
1	1
2	2
3	3

ბ)

$x$	$y$
0	4
1	5
2	6
3	7

გ)

$x$	$y$
0	4
1	4
2	4
3	4


დ)

$x$	$y$
0	0
1	4
2	8
3	12

25. სამმა ფერმერმა თანაბრად უნდა გაიყოს მართკუთხა ფორმის მიწის ნაკვეთი, რომლის სიგრძეა 201 მ, სიგანე კი – 90 მ. რამდენი კვადრატული მეტრი ფართობის მქონე ნაკვეთი შეხვდება თითოეულს?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

26. ჩამონათვალიდან, რომელი წინადადება არის მცდარი?



ა) კუბის წვეროებისა და წახნაგების რაოდენობათა ჯამი მეტია წიბოების რაოდენობაზე.

ბ) პირამიდის წვეროების რაოდენობა ტოლია წახნაგების რაოდენობის.

გ) ოთხკუთხა პრიზმის წახნაგების რაოდენობა მეტია ოთხკუთხა პირამიდის წახნაგების რაოდენობაზე.

დ) პირამიდის წვეროების რაოდენობა ყოველთვის ლუწია.


27. ცხრილში მოცემულია შესაბამისობა სათამაშოებში გადახდილ P თანხასა და სათამაშოების n რაოდენობას შორის. ჩაწერე ცხრილში გამოტოვებული რიცხვები.

P (გადახდილი თანხა)	3,5		24,5
n (რაოდენობა)	1	4	



28. რამდენი წვერო აქვს კუბს?

- ა) 4
- ბ) 6
- გ) 8
- დ) 12



29. მოცემულია სკოლის კალათბურთის გუნდში მოთამაშე სპორტსმენების სიმაღლეები მეტრებში:

1,71; 1,78; 1,77; 1,81; 1,83; 1,69; 1,73; 1,86; 1,82; 1,7.


რამდენი კალათბურთელის სიმაღლეა 1,8 მ-ზე მეტი?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში

30.  $x$  და  $y$  სიდიდეებს შორის დამოკიდებულება მოიცემა  $y = 1,2x + 1$  ფორმულით. თუ  $x = 5$ , მაშინ  $y = ?$

- ა) 2,2
- ბ) 6
- გ) 7
- დ) 7,2


31. დიაგრამაზე გამოსახულია გორგის მიერ ელექტროენერგიაში გადახდილი თანხა თვეების მიხედვით:



აღნიშნული თვეების განმავლობაში გადახდილი თანხის საშუალო არის:

- ა) 35
- ბ)  $\frac{100}{3}$
- გ) 105
- დ) 52,5

32. მოცემული სივრცული ფიგურებიდან რომელ ფიგურას აქვს ოთხი წახნაგი?



- ა)
- ბ)
- გ)
- დ)